

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მარტი ---- 2017 წელი

ქ. ოზურგეთი

დადგენილება №-----

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დაადგინა:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმები“ (თან ერთვის).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის
განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი
ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმები
თავი I
ზოგადი დებულებები**

მუხლი 1. დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების (შემდგომში - საჯარო დაწესებულება) პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების განსაზღვრა, საჯარო დაწესებულების ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” საქართველოს კანონში.

2. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) საჯარო დაწესებულების პერსონალი - საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირი;
- ბ) მიკუთვნებულობა, მიკუთვნებულობის განცდა – ინდივიდის ემოციური საჭიროება როგორც თავად იყოს აღიარებული ჯგუფის წევრად, ასევე თვითონ აღიქვას თავი ჯგუფის წევრად, ანუ ურთიერთდამოკიდებულების საჭიროების აღიარება როგორც ბავშვის მიერ, ასევე ბავშვის მიმართ;
- გ) პოზიტიური დისციპლინა - დისციპლინის მოდელი, რომელიც გამოიყენება მშობლების ან საჯარო დაწესებულების თანამშრომელთა მიერ, რომლის მიზანია ბავშვის განვითარება ორმხრივ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის ფონზე. პოზიტიური დისციპლინა მიმართულია გამოსავალზე, პოზიტიური ქცევის შეთავაზება კი, დასწავლაზე და არა არასასურველი ან უარყოფითი ქცევის დასჯაზე;

დ) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამა - სასწავლო პროცესის, გარემოს, ჩართული მხარეების და მათ შორის ურთიერთკავშირის ერთობლიობა.

მუხლი 3. რეგულირების საგანი

1. ეს დოკუმენტი ვრცელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალზე და ადგენს საჯარო დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივ ინსტრუქციებს, ქცევისა და ეთიკის ნორმებს.

**თავი II
ინსტრუქციები**

მუხლი 4. პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციები

- 1. პერსონალი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი თავის ქმედებებში;
- 2. პერსონალი კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, იცავს კანონით დადგენილ ნორმებს, იცავს საჯარო დაწესებულების შინაგანაწესს;
- 3. პერსონალი იცავს კონფიდენციალობისა და ეთიკის ნორმებს როგორც ერთმანეთთან მიმართებაში, ასევე პროგრამაში ჩართული ბავშვებისა და მათ ოჯახებთან მიმართებაში;

4. პერსონალი თავისუფალია საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულებების არჩევანში ამავე დროს არ განიხილავს ერთმანეთის და სხვა ინდივიდთა ოჯახურ, რელიგიურ, პოლიტიკურ და ა.შ. საკითხებს და არ ცდილობს ამ მიმართულებით გავლენა მოახდინოს სხვებზე;

5. პერსონალი აღიარებს და პატივს სცემს სხვადასხვა ნიშნით განხვავებულობას, ხელს უწყობს სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლასა და თანასწორობითი ღირებულებების ჩამოყალიბებას;

6. პერსონალი არის პუნქტუალური, დროულად ცხადდება სამსახურში და დათქმულ დროში ასრულებს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს. პერსონალი უფრთხილდება საჯარო დაწესებულების მატერიალურ რესურსს, დაზიანების შემთხვევაში თავად ზრუნავს შეკეთებაზე, ან მიმართავს საჯარო დაწესებულების შესაბამის პასუხისმგებელ სუბიექტს;

7. პერსონალი მატერიალური რესურსის გამოყენებისას იცავს უსაფრთხოების ნორმებს;

8. პერსონალი თავს იკავებს გამოცხადებისგან/არ ცხადდება საჯარო დაწესებულებაში, როდესაც ავადაა გადამდები ინფექციური დაავადებით, ასევე დაავადებით, რომელიც ხელს შეუშლის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაში;

9. პერსონალი იყენებს ინტერნეტს სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად, ინტერნეტის მოხმარებისას იყენებს მხოლოდ საკუთარ მომხმარებლის სახელს და პაროლს;

10. პერსონალი უფრთხილდება საჯარო დაწესებულების ელექტრონულ ინფორმაციას, არ იყენებს კომპიუტერს პირადი მიზნებისთვის, არ ჩამოტვირთავს/უყურებს ძალადობისა და უხამსობის ამსახველ ვიდეო/ფოტო მასალას;

11. პერსონალი არ იყენებს დაწესებულების ადამიანურ და მატერიალურ რესურსს პირადი მიზნებისთვის. ნარჩენების (საკვების, ცარიელი ყუთების, დაზიანებული ინვენტარის და ა.შ.) გამოყენების შემთხვევაში სიტყვიერი თანხმობა აქვს ადმინისტრაციისგან;

12. პერსონალი ახორციელებს სამსახურეობრივ მოვალეობებს სუფთა, კომფორტულად ჩაცმულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელში, რომელიც არ უშლის ხელს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულებაში;

13. პერსონალი სამუშაო საათებში მინიმალურად იყენებს მობილურ ტელეფონს (გარდა საგანგებო მდგომარეობებისა), საჯარო დაწესებულების ტელეფონს იყენებს მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნებისთვის;

14. არ მოიხმარს ალკოჰოლს, თამბაქოსა და მავნე ნივთიერებებს საჯარო დაწესებულების ტერიტორიაზე, ასევე არ ცხადდება საჯარო დაწესებულებაში ალკოჰოლური და მავნე ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

15. პერსონალი უფრთხილდება საკუთარ და საჯარო დაწესებულების საქმიან რეპუტაციას, არ იყენებს საკუთარ სამსახურეობრივ სტატუსს პირადი მიზნებისთვის;

16. პერსონალი ზრუნავს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ყველა შესაძლო გზით;

17. პერსონალი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის საჯარო აქტივობებში, რომლებიც არ ლახავს მისი და საჯარო დაწესებულების საქმიან რეპუტაციას.

თავი III

პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები

მუხლი 5. პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები ბავშვებთან ურთიერთობის დროს

1. პერსონალი ახორციელებს საკუთარ საქმიანობას ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით (აღიარებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს, ითვალისწინებს ბავშვის პერსპექტივას);

2. პერსონალი აღიარებს და პატივს სცემს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურობასა და განსხვავებულობას;

3. პერსონალი ზრუნავს თითოეული ბავშვის მიკუთვნებულობის შეგრძნებაზე;
4. პერსონალი ქმნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან დაცულ, ინკლუზიურ გარემოს, სადაც ყველა ბავშვს აქვს განვითარების საშუალება განურჩევლად სქესისა, ასაკისა, შესაძლებლობებისა, ეკონომიკური სტატუსისა, ოჯახური მდგომარეობისა, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური მიკუთვნებულობისა;
5. პერსონალი ზრუნავს თითოეული ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე;
6. პერსონალი ურთიერთობს ბავშვთან, როგორც თანასწორთან, განიხილავს მას როგორც უფლებების მქონე სუბიექტს;
7. პერსონალს ესმის თამაშის მნიშვნელობა ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის;
8. პერსონალი ქმნის გარემოს, სადაც ყველა ბავშვს აქვს აზრის გამოხატვის საშუალება;
9. პერსონალი პირადი მაგალითით ახდენს ბავშვების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას;
10. პერსონალი ითვალისწინებს ბავშვისა და მისი ოჯახის მჭიდრო კავშირების ძალას და იყენებს ამ კავშირებს ბავშვის საუკეთესო ინტერესისთვის;
11. პერსონალი იცავს ბავშვის ინტერესებსა და უსაფრთხოებას ბავშვთან დაკავშირებული ინფორმაციისა და ფოტო/ვიდეო მასალის გაზიარების შემთხვევაში, განსაკუთრებით როცა ეს ინტერნეტსივრცეს ეხება;
12. იცავს ბავშვის ინტერესებს საჯარო დაწესებულების ფარგლებში დაგეგმილ კვლევებში ბავშვის მონაწილეობისას;
13. პერსონალი ინარჩუნებს სიმშვიდეს კრიტიკულ სიტუაციებში, იყენებს პოზიტიური დისციპლინის სტრატეგიებს;
14. პერსონალი თანაბარ ყურადღებას უთმობს თითოეულ ბავშვს განურჩევლად სქესის, ენის, რასის, რელიგიის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ან ქონებრივი მდგომარეობის, განსხვავებული საჭიროებისა ან სხვა ნიშნისა;
15. პერსონალი არ ახვევს საკუთარ რელიგიურ, პოლიტიკურ და სხვა შეხედულებებს ბავშვს და არ უშვებს ამ ტიპის ქმედებას სხვა ინდივიდების მხრიდან.
16. პერსონალი არ განსჯის ბავშვს და არ გამოხატავს შემფასებლურ დამოკიდებულებას მის მიმართ.

მუხლი 6. პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები ბავშვის ოჯახთან ურთიერთობის დროს

1. პერსონალი ამყარებს პოზიტიურ, ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობას ბავშვის ოჯახთან, ხელს უწყობს მშობელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში;
2. პერსონალი პატივს სცემს ბავშვის ოჯახის წევრებს განურჩევლად მათი გენდერული, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით განსხვავებულობისა;
3. პერსონალი უზიარებს მშობლებს ინფორმაციას საჯარო დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შესახებ;
4. პერსონალი უზიარებს მშობლებს ინფორმაციას ბავშვის განვითარების შესახებ;
5. პერსონალი აღიარებს ოჯახის უფლებას იყოს ჩართული ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;
6. პერსონალი ზრუნავს მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე სკოლამდელი განათლების საკითხებთან დაკავშირებით;
7. პერსონალი აღიარებს მშობლის უნიკალურ როლს ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში და პატივს სცემს მის უფლებას ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების დროს;
8. პერსონალი იცავს კონფიდენციალურობას ბავშვის ოჯახთან დაკავშირებით, არ განიხილავს ბავშვსა და მის ოჯახს კოლეგებთან, ან სხვა მშობლებთან.

9. ბავშვის ოჯახის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, თავს არიდებს, რომელიმე მხარის მხარდაჭერას და თანაბრად მუშაობს ორივე მხარესთან;

10. პერსონალი არ შედის ფამილარულ ურთიერთობაში ოჯახებთან და თავს არიდებს კონფლიქტურ სიტუაციებს;

11. პერსონალი არ იღებს ოჯახისაგან ფასიანი საჩუქარს ან ფულს;

12. პერსონალი არ ახვევს საკუთარ რელიგიურ, პოლიტიკურ და სხვა შეხედულებებს ბავშვის ოჯახის წევრებს და არ უშვებს ამ ტიპის ქმედებას სხვა ინდივიდების მხრიდან.

მუხლი 7. პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები კოლეგებთან ურთიერთობის დროს

1. პერსონალს აქვს პოზიტიური, პატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული, თანამშრომლობითი ურთიერთობა ერთმანეთთან;

2. პერსონალი მუშაობს გუნდურად, მხარს უჭერს ერთმანეთის პოზიტიურ ინიციატივებს, ქმნის ჯანსაღ სამუშაო გარემოს;

3. პერსონალი მხარს უჭერს კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში;

4. პერსონალი ამჟღავნებს პროფესიულ სოლიდარობასა და კოლეგიალობას;

5. პერსონალი მხარს უჭერს ერთმანეთს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ცოდნის, გამოცდილების, იდეებისა და მატერიალური რესურსის გაზიარების გზით;

6. პერსონალი თავს არიდებს კონფლიქტებს და აწარმოებს მოლაპარაკებებს დაწესებულებაში წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტისას;

7. პერსონალი მხარს უჭერს ერთმანეთს ამ დოკუმენტით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებაში და მოქმედებს არაეთიკური ქმედების აღმოსაფხვრელად;

8. პერსონალი აღიარებს გუნდის ყველა წევრის ინდივიდუალიზმსა და პროფესიონალური გამოცდილების მრავალფეროვნებას;

9. პერსონალი თავს არიდებს ერთმანეთის საქმიანობაში უხეში ჩარევას, არ იძლევა იმპერატიულ მითითებებს ერთმანეთის მისამართით;

10. პერსონალი პატივს სცემს განსხვავებულ მოსაზრებას და კონსტრუქციული დიალოგის გზით ცდილობს კონსენსუსის მიღწევას;

11. პერსონალი თავს არიდებს და აღკვეთს ისეთ ქმედებას, რომელიც დაამცირებს, შეურაცხყოფს კოლეგას, ან ხელს შეუშლის მას საქმიანობის განხორციელებაში;

12. პერსონალი არ ახვევს საკუთარ რელიგიურ, პოლიტიკურ და სხვა შეხედულებებს კოლეგებს და არ უშვებს ამ ტიპის ქმედებას სხვა ინდივიდების მხრიდან.

მუხლი 8. პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს

1. პერსონალი არის გახსნილი საზოგადოების მიმართ და აწარმოებს გამჭვირვალე საქმიანობას;

2. პერსონალი წაახალისებს და ხელს უწყობს საზოგადოების სხვადასხვა წრეების წარმომადგენელთა ჩართვას საჯარო დაწესებულების სამუშაო პროცესში, საჯარო დაწესებულებისა და ბავშვების საკეთილდღეოდ;

3. პერსონალი ფლობს ინფორმაციას შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში (დაბა, სოფელი) არსებული რესურსების შესახებ და იყენებს საჯარო დაწესებულების საკეთილდღეოდ;

4. პერსონალი აცნობიერებს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და უზრუნველყოფს ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის მიწოდებას;

5. პერსონალი თანამშრომლობს სხვა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებთან ცოდნის, გამოცდილებისა და იდეების გაზიარების მიზნით;

6. პერსონალი თანამშრომლობს ორგანიზაციებსა და ცალკეულ ინდივიდებთან, რათა არსებობდეს გაზიარებული ცოდნა ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდასაჭერად;

7. პერსონალი საკუთარი საქმიანობის ფარგლებში ზრუნავს გარემოზე (მაგ: არ აყენებს მას ზიანს, არ აბინძურებს და ა.შ.).

თავი IV

გარდამავალი დებულებები

მუხლი 9. პასუხისმგებლობა ამ დოკუმენტში აღწერილი ნორმების დარღვევისათვის

პერსონალის მიერ წინამდებარე დოკუმენტის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობისა და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

განმარტებითი ბარათი

„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

2. პროექტის ავტორები: გამგებლის მოადგილეები - არჩილ ყაზაიშვილი, გიორგი ღურჯუმელიძე.

საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი;

ა.ბ) „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებასაძლებას წარმოადგენს „მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) პროექტით განისაზღვრება „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმები“;

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2017 წლის 29 მარტი.